

**საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარესთან არსებული  
გენდერული თანასწორობის საკითხების საკონსულტაციო საბჭოს  
დებულება**

**I. ზოგადი დებულებანი**

**მუხლი 1**

1. საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილესთან არსებული გენდერული საკითხების საკონსულტაციო საბჭო (შემდგომში - საბჭო) იქმნება საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის ბრძანებით.
2. საბჭო თავის საქმიანობაში ხელმძღვანელობს საქართველოს კონსტიტუციით, სხვა ნორმატიული აქტებით, ამ დებულებითა და პარლამენტის თავმჯდომარის სხვა აქტებით.
3. საბჭოს უფლებამოსილებანი და სტატუსი განისაზღვრება ამ დებულებით.

**II. საბჭოს ძირითადი ამოცანები**

**მუხლი 2**

1. საბჭოს ძირითადი ამოცანებია:
  - ა) ჩამოაყალიბოს და საბჭოს თავმჯდომარეს განსახილველად წარუდგინოს წინადადებები სახელმწიფო გენდერული პოლიტიკის თაობაზე, რომელშიც გათვალისწინებული იქნება პოლიტიკურ, სოციალურ და ეკონომიკურ სფეროში გენდერული პარამეტრების დანერგვის გზები;
  - ბ) პარლამენტის თავმჯდომარეს წარუდგინოს წინადადებები საქართველოს კანონმდებლობის დასახვეწად გენდერული პარამეტრების გათვალისწინებით;
  - გ) პარლამენტის თავმჯდომარეს წარუდგინოს წინადადებები გენდერული თანასწორობის უზრუნველყოფის თვალსაზრისით საქართველოს კანონმდებლობის ევროპულ სტანდარტებთან ჰარმონიზაციის შესახებ;
  - დ) გენდერული საკითხების განხილვის პროცესში მჭიდროდ ითანამშრომლოს საპარლამენტო კომიტეტებთან, კომისიებთან და პარლამენტის და მთავრობის სხვადასხვა სუბიექტებთან;
  - ე) თავისი კომპეტენციის ფარგლებში გაანალიზოს გენდერული თანასწორობის შესახებ საერთაშორისო ხელშეკრულებისა და შეთანხმებების, ასევე საქართველოს შესაბამისი აქტების შესრულების მდგომარეობა;
  - ვ) ითანამშრომლოს და გაცვალოს ინფორმაცია შესაბამის ორგანოებთან, რომლებიც შექმნილია ევროპის სახელმწიფოთა პარლამენტებში, ევროპარლამენტში, ევროპის საბჭოში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში და ევროპის უშიშროებისა და თანამშრომლობის ორგანიზაციაში;
  - ზ) მჭიდროდ ითანამშრომლოს გენდერულ საკითხებზე მომუშავე საერთაშორისო და ადგილობრივ ორგანიზაციებთან, რათა ერთობლივად შეიმუშაონ წინადადებები და რეკომენდაციები საბჭოს თავმჯდომარისათვის წარსადგენად შესაბამისი ღონისძიებების გატარების მიზნით.

**III. საბჭოს სტრუქტურა**

**მუხლი 3**

1. საბჭოს პერსონალურ შემადგენლობას ბრძანებით განსაზღვრავს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე.
2. საბჭოს თავმჯდომარეა საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის მოადგილე, რომელიც ხელმძღვანელობს საბჭოს საქმიანობასა და სხდომებს.
3. საბჭოს მუშაობაში საბჭოს თავმჯდომარის მონაწილეობით შეიძლება მონაწილეობდნენ მთავრობის წევრები, სხვადასხვა უწყებების ხელმძღვანელები, არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები.

#### IV. საბჭოს მუშაობის ორგანიზაცია

##### მუხლი 4

1. საბჭოს სხდომებს საჭიროებისამებრ იწვევს საბჭოს თავმჯდომარე საკუთარი ინიციატივით ან საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარის დავალებით.
2. საბჭოს სხდომების დღის წესრიგს ამტკიცებს საბჭოს თავმჯდომარე.
3. საბჭოს სხდომაზე საკითხის გატანის უფლება აქვთ:
  - ა) საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარეს;
  - ბ) საბჭოს თავმჯდომარეს;
  - გ) საბჭოს არანაკლებ 3 წევრებს.
4. საბჭო ამზადებს წინადადებებსა და რეკომენდაციებს საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარისთვის წარსადგენად.
5. საბჭოს სხდომა უფლებამოსილია, თუ მას ესწრება საბჭოს წევრთა უმრავლესობა.
6. საბჭოს სხდომაზე გადაწყვეტილება მიიღება საბჭოს დამსწრე წევრთა ხმების უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტია საბჭოს თავმჯდომარის ხმა.

[www.parliament.ge](http://www.parliament.ge)